

1) საკონცერტო დარბაზში, რომელშიც 7 ერთნაირი რიგია 28 მაყურებელი შევიდა. მაყურებლებმა დარბაზის ყველა რიგი ბოლომდე შეავსეს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი რიგია დარბაზში?

1) 4

2) 7

3) 28



ბ) რამდენი მაყურებელი შევიდა დარბაზში?

1) 7

2) 28

3) 35



გ) რამდენი მაყურებელი ზის თითოეულ რიგში?

1) 4

2) 7

3) 28

2) ლადოს 300 ლარი ჰქონდა. მან 180 ლარი დას მისცა, დარჩენილი თანხის ნახევრით კი – ძმას. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი ლარი ჰქონდა ლადოს?

1) 300 ლარი

2) 180 ლარი

3) 120 ლარი



ბ) რამდენი ლარი მისცა ლადომ დას?

1) 300 ლარი

2) 180 ლარი

3) 120 ლარი



გ) რამდენი ლარი დარჩა ლადოს მას შემდეგ, რაც მან თავისი თანხის ნაწილი დას და ძმას გაუნაწილა?

1) 180 ლარი

2) 120 ლარი

3) 60 ლარი

3) ნინოს მხოლოდ ორი ცალი ასლარიანი აქვს. ნიკას იმდენი ლარი აქვს, რამდენიც ნინოს, მაგრამ მას მხოლოდ ორმოცდაათლარიანი აქვს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:



ა) რამდენი ცალი ასლარიანი აქვს ნინოს?

1) ორი

2) ოთხი

3) ორასი



ბ) რამდენი ლარი ჰქონია ნინოს სულ?

1) 50 ლარი

2) 100 ლარი

3) 200 ლარი



გ) რამდენი ცალი ორმოცდაათლარიანი ჰქონია ნიკას?





1) ორი

2) ოთხი

3) ორასი



4) რა უნდა ეხატოს კითხვის ნიშნის ნაცვლად?



5) თემოს 1 ორმოცდაათეთერიანი აქვს. კოტეს 2 ოცეთერიანი და 1 ხუთეთერიანი აქვს. მარის 3 ათეთერიანი და 3 ხუთეთერიანი აქვს. ვის აქვს ყველაზე მეტი თანხა?

1) თემოს

2) კოტეს

3) მარის



6) მაგიდაზე დევს 15-ზე მეტი და 19-ზე ნაკლები თხილი. თუ თხილებს ორ-ორად დავითვლით, მაშინ დაგვრჩება ერთი თხილი. რამდენი თხილი დევს მაგიდაზე?



1) 16

2) 17

3) 18



7) შარშან ნინიკო 11 წლის გახდა. რამდენი წლის გახდება იგი მომავალ წელს?

1) 14 წლის

3) 13 წლის

4) 12 წლის



მათემატიკური ოლიმპიადა „ევერესტი“ 12 წლისაა!
 მადლობას გიხდით, რომ ირჩევთ ჩვენს
 ოლიმპიადას!

